ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 483

"24" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქუჩა №29-ში (ნაკვეთები: №4/57; №4/58; №4/59; №4/60; №4/71) შპს „ცენტრ პოინტ სიტი" და შპს „სანაპირო- 2004"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის №20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის №25.1694.1902 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქუჩა №29-ში (ნაკვეთები: №4/57; №4/58; №4/59; №4/60; №4/71) შპს „ცენტრ პოინტ სიტი" და შპს „სანაპირო- 2004"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის №20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №0125008266-67 ((01250563634-67; 01251251058-67; 01251363202-67; 01251472422-67; 01251683106-67; 01251783153-67; 01252102357-67; 01252113819-67; 01252483800-67; 01252594089-67; 012526411-67; 01252724576-67; 0125274987-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

განკარგულება - N 25.1694.1902
8 / ოქტომბერი / 2025 წ.

,,ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (ნაკვეთები: N4/57; N4/58; N4/59; N4/60; N4/71) შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი'' და შპს ,,სანაპირო- 2004''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 13 იანვრის N0125008266-67 ((01250563634-67; 01251251058-67; 01251363202-67; 01251472422-67; 01251683106-67; 01251783153-67; 01252102357-67; 01252113819-67; 01252483800-67; 01252594089-67; 012526411-67; 01252724576-67; 0125274987-67) განცხადებით მიმართა როინ გიგაძემ (პ/ნ 53001010157) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (ნაკვეთები: N4/57; N4/58; N4/59; N4/60; N4/71) შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი'' და შპს ,,სანაპირო- 2004''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29, კოსმონავტების სანაპირო N51გ, კოსმონავტების სანაპირო N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: NN 01.13.05.004.139; 01.13.05.004.057; 01.13.05.004.058; 01.13.05.004.059; 01.13.05.004.173 და 01.13.05.004.142; 01.13.05.004.190; 01.13.05.004.213; 01.13.05.004.232; 01.13.05.004.255).

წარმოდგენილი კორექტირება ეხება შემდეგ საკადასტრო ერთეულებს: NN01.13.05.004.139; 01.13.05.004.058; 01.13.05.004.059; 01.13.05.004.173 და 01.13.05.004.142.

საპროექტო ტერიტორიაზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18

დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-2 (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება განხორციელებულია რამდენჯერმე, მათ შორის, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 მარტის N42 და 2007 წლის 9 მარტის N03/202 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 23 აპრილის N01/769 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 1 თებერვლის N141 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 თებერვლის N35 და 2017 წლის 3 თებერვლის N18 განკარგულებით.

ხოლო, განაშენიანების რეგულირების გეგმის ბოლო კორექტირება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N210 განკარგულებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 3 სექტემბრის N32 ოქმის შესაბამისად, მოხდა შემდეგი მონაცემის დადასტურება:

,,დადასტურებულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 მარტის N42 ბრძანებითა და 2007 წლის 9 მარტის N03/202 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტების შესაბამისად:

მისამართზე - ქ.თბილისი, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ: N01.13.05.004.142) არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი: 6907 კვ.მ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ-2- 3.89.''

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ.N29 (ს/კ: N01.13.05.004.139); კოსმონავტების ქ.N49 (ს/კ: N01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ.N47 (ს/კ: N01.13.05.004.059), კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ: N01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51Გ (ს/კ: N01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 204460657), შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფის (ს/ნ 202446246) და შპს „იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ 405243482) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N310 განკარგულებით განსაზღვრულია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N310 განკარგულებით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები დაზუსტდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N325 და 2021 წლის 19 ნოემბრის N546 განკარგულებებით.

N0125008266-67 ((01250563634-67; 01250563634-67; 01251251058-67; 01251363202-67; 01251472422-67; 01251683106-67; 01251783153-67; 01252102357-67; 01252113819-67; 01252483800-67; 01252594089-67; 012526411-67; 01252724576-67; 0125274987-67) განცხადებით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების მიზნები:

1)ზემოაღნიშნული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის N310 განკარგულების მიხედვით, იცვლება 01.13.05.004.059; 01.13.05.004.173; 01.13.05.004.142 მიწის ნაკვეთების საზღვრები ფართის უცვლელად. ნაკვეთების საზღვრების კორექტირებით, ცვლილება ეხება ზემოაღნიშნული ნაკვეთების საზღვრებს შორისა და მათ მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიას. აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ- ქონების მართვის სააგენტომ დააფიქსირა დადებითი

პოზიცია (წერილი: N61-01251633515).

2)განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს ემატება 01.13.05.004.139 მიწის ნაკვეთის მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ნაწილი 445კვ.მ, რომელიც გამოიყენება გზისთვის, არ ეცვლება არსებული ზონა, დადგენილია სერვიტუტი, მითითებულია არასამშენებლო ტერიტორიად.

3) არსებული ფუნქციური ზონირება - (ნაკვეთებისათვის მიკუთვნებული ფართობებით) რჩება უცვლელი, ნაკვეთების ფართის უცვლელად საზღვრების კორექტირებიდან გამომდინარე სწორდება ფუნქციური ზონის კონტურებიც.

4)კორექტირებით 01.13.05.004.139 მიწის ნაკვეთზე იცვლება შენობათა განთავსება, იზრდება მაქსიმალური სიმაღლე სართულიანობა: 110 მეტრიდან - 180 მეტრამდე. მაქსიმალური სართულიანობა 32 სართულიდან - 40 სართულამდე. დადგენილი კოეფიციენტები და სამშენებლო მოცულობა რჩება უცვლელი.

5)კორექტირებით 01.13.05.004.059 მიწის ნაკვეთზე იცვლება ბლოკი N7 შენობის განთავსება, პარამეტრები, სიმაღლე/სართულიანობა რჩება უცვლელი. დაფიქსირებულია დაუმთავრებლის განკარგულებების შესაბამისად. N7 ბლოკისათვის არ იცვლება სიმაღლე - სართულიანობა: 30 სართ. 100 მ.

ზემოაღნიშნული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N325 განკარგულებით - 5ა ბლოკისთვის მინიჭებული კ-2 საანგარიშო ფართობით 9253 კვ.მ.-ით კ-2 დამრგვალებით გამოდის 1.46

დამტკიცებულიო განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით დადგენილია კ-2=1.4, ამჟამად მაჩვენებელი მოყვანილია საანგარიშო ფართობთან შესაბამისობაში და დაფიქსირებულია კ-2=1,46 - 9253 კვ.მ. (დაზუსტდა 5ა - ბლოკის სართულიანობა და დაფიქსირდა 19 სართული.)

6)01.13.05.004.058 მიწის ნაკვეთზე წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, არასწორად იყო დათვლილი სიმაღლე და სართულიანობა. მცირდით იზრდება შენობის განთავსება, კონსოლით გადადის ნაკვეთის საზღვრებზე, საზოგადობრივი სივრცის მხარეს.

დამტკიცებული - 40 მ. 15 სართული

კორექტირებული - 80 მ. 22 სართული

წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით არ იცვლება დადგენილი პარამეტრები და საანგარიშო ფართობები. რაც დაფიქსირებულია ზემოაღნიშნულ N310, N325, N546 განკარგულებებში.

7)01.13.05.004.142 ნაკვეთს ეხება მხოლოდ საზღვრების ცვლილება, ასევე, დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებში მისი ფართობი არასწორად იყო მითითებული. დაფიქსირებული იყო 7791 კვ.მ. კ-2=3,4;

არსებული მდგომარეობით, ნაკვეთის ფართობი არის 6 907 და დადგენილი კ-2 საანგარიშო ფართობიდან გამომდინარე კ-2=3,89 – 26 871,8 კვ.მ. (დაფიქსირებულია 2007 წ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებით), რომელიც ასევე დადასტურებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 3 სექტემბრის N32 ოქმით.

8)01.13.05.004.173 ნაკვეთზე, ეხება არსებული საზღვრების ცვლილება ფართს უცვლელად.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით გაყოფილი იყო ორ სექტორად,

სათითაოდ ჰქონდა მინიჭებული პარამეტრები. ამჟამად, არსებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში წარმოდგენილია ორი ბლოკი. შენარჩუნებულია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სამშენებლო ფართობები უცვლელად. დაზუსტდა სართულიანობა 17-ის ნაცვლად დაფიქსირდა 15 სართული.

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

მიწის ნაკვეთი: N01.13.05.004.139 - 17 632 კვ.მ.

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 17 632 კვ.მ.

კ-1= 0,7 - 8 816 კვ.მ.

კ-2= 9,95 - 175 560 კვ.მ.

კ-3= 0,1 - 1 763,2 კვ.მ.

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე:

ბლოკი 1 - 29 სართ. / 100 მეტრი.

ბლოკი 2 - 29 სართ. / 103,8 მეტრი.

ბლოკი 3 - 32 სართ. / 110,4 მეტრი.

ბლოკი 4-5 - 40 სართ. / 180 მეტრი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი.

მიწის ნაკვეთი: დაურეგისტრირებელი

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 445 კვ.მ.

კ-1= -

კ-2= -

კ-3= 0,2 - 89 კვ.მ.

არასამშენებლო - დასაშვებია მხოლოდ საავტომობილო გზისა და გზისპირა გამწვანების მოწყობა.

მიწის ნაკვეთი: 01.13.05.004.059 - 6 328 კვ.მ.

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 6 328 კვ.მ.

კ-1= 0,6 - 3 700 კვ.მ.

კ-2= 4,4 - 28 100 კვ.მ.

კ-3= 0,1 - 632,8 კვ.მ.

მრავალბინიანი საცხოვრებელი.

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე:

30 სართ. / 100 მეტრი.

მიწის ნაკვეთის N01.13.05.004.059-ზე განთავსებული მეორე შენობა ნაგებობისათვის „5ა" ბლოკისათვის დადგენილი პარამეტრები:

კ-1= 0,1 - 720 კვ.მ.

კ-2= 1,46 - 9 253 კვ.მ.

კ-3= 0,1 - 632,8 კვ.მ.

მრავალბინიანი საცხოვრებელი.

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე:

19 სართ. / 67 მეტრი.

მიწის ნაკვეთი: N01.13.05.004.058 - 1 079 კვ.მ.

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 1 079 კვ.მ.

კ-1= 0,7 - 755,3 კვ.მ.

კ-2= 8,5 - 9 171,5 კვ.მ.

კ-3= 0,1 - 107,9 კვ.მ.

მრავალბინიანი საცხოვრებელი.

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე:

22 სართ. / 80 მეტრი.

მიწის ნაკვეთი: 01.13.05.004.142 - 6 907 კვ.მ.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 6 907 კვ.მ.

კ-1= 0,66 - 4 548 კვ.მ.

კ-2= 3,89 - 26 871,8 კვ.მ.

კ-3= 0,1 - 690 კვ.მ.

მრავალფუნქციური

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე:

10 სართ. / 36 მეტრი.

მიწის ნაკვეთი: 01.13.05.004.173 – 7 601 კვ.მ.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – 7 601 კვ.მ.

კ-1= 0,2 – 1391,2 კვ.მ.

კ-2= 3,1 – 23 650,4 კვ.მ.

კ-3= 0,1 – 760,1 კვ.მ.

მრავალფუნქციური

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე:

15 სართ. / 50 მეტრი.

მიწის ნაკვეთზე 01.13.05.004.173 განთავსებულია ორი შენობა ნაგებობა 5ბ და 5გ ბლოკი, პარამეტრები მოცემულია ცალკეული ბლოკების მიხედვითაც.

ბლოკი 5ბ - კ-1 = 688,1 კვ.მ. კ-2 = 11 697,7 კვ.მ.

ბლოკი 5გ - კ-1 = 703,1 კვ.მ. კ-2 = 11 952,7 კვ.მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 12 ივნისის N61-01251633515 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N310 განკარგულებით შეთანხმებულია მიწის ნაკვეთების (ს/კ: N01.13.05.004.059; N01.13.05.004.173 და N01.13.05.004.142) ფართობის უცვლელად

კორექტირების საკითხი, ხოლო სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე მომავალში შესაძლებელია აღირიცხოს მის საკუთრებად, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში, გამოყენებულ იქნეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 18 ივნისის N01251691513 წერილის შესაბამისად, სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ,,ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (ნაკვეთები: N4/57; N4/58; N4/59; N4/60; N4/71) შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი'' და შპს ,,სანაპირო-2004''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ემუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0125008266-67 ((01250563634-67; 01251251058-67; 01251363202-67; 01251472422-67; 01251683106-67; 01251783153-67; 01252102357-67; 01252113819-67; 01252483800-67; 01252594089-67; 012526411-67; 01252724576-67; 0125274987-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ,,ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (ნაკვეთები: N4/57; N4/58; N4/59; N4/60; N4/71) შპს ,,ცენტრ პოინტ სიტი'' და შპს ,,სანაპირო-2004''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01251691513**
თარიღი: **18/06/2025**

2025 წლის 17 ივნისის N 01251683106-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29, კოსმონავტების სანაპირო N51გ, კოსმონავტების სანაპირო N47-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.13.05.004.139; 01.13.05.004.059; 01.13.05.004.058) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია **სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა** და **შეთანხმების წერილები** (N 16-0125134122, 14.05.2025; MIA 6 25 01442959, 14.05.2025). გეგმარება შესაბამისობაშია ზემოხსენებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან.

შესაბამისად, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების **წინააღმდეგი არ არის.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01251633515**
თარიღი: **12/06/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2025 წლის 08 მაისის N17-01251282620-61 (08.05.2025წ. N16-01251282261) წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29, კოსმონავტების სანაპირო N51გ, კოსმონავტების სანაპირო N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.13.05.004.139; 01.13.05.004.058; 01.13.05.004.059; 01.13.05.004.173 და 01.13.05.004.142) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხს. ვინაიდან, საპროექტო არეალი მოიცავს დაურეგისტრირებელ სივრცეს, ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N310 განკარგულებით შეთანხმებულია მიწის ნაკვეთების (ს/კ:01.13.05.004.059; 01.13.05.004.173 და 01.13.05.004.142) ფართობის უცვლელად კორექტირების საკითხი, ხოლო სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე მომავალში შესაძლებელია აღირიცხოს მის საკუთრებად, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, გამოყენებულ იქნეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

პატივისცემით,

სერგო ბირკაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ამონაწერი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

სხდომის ოქმი № 32

„3" სექტემბერი 2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე
ესწრებოდნენ:	
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრები:	გიორგი ტყემალაძე, ირაკლი ბენდელიანი, ანდრია ბასილაია, ვლადიმერ ჭიღლაძე, გიორგი აბუთიძე, სერგო ბირკაძე, ირაკლი გვილავა, გაიოზ თალაკვაძე, ვახტანგ ლომჯარია, პაატა ტოგონიძე, ქეთევან შუბითიძე, გელა ჩივიაშვილი, ნიკოლოზ ჭონქაძე, ირაკლი ანდღულაძე, გაიოზ ვასაძე, ბესიკ კალაძე, დავით კირკიტაძე, დავით მაქაცარია, კახა სამხარაძე, ლევან ყიფიანი
სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი -	ნინო ბაგაშვილი
სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი -	გიორგი კობიაშვილი
შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი -	გიორგი პაპავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378 254, ფაქსი: (+995 32) 378 202

§8 ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.142) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 6907 კვ.მ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ-2- 3.89) ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 მარტის N42 ბრძანებითა და 2007 წლის 9 მარტის N03/202 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტების დადასტურების შესახებ

/მომხს. ნ. ბაგაშვილი/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნ. ბაგაშვილმა მთავრობის წევრებს მოახსენა, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ: N01.13.05.004.142) არსებულ მიწის ნაკვეთზე, ფართობი - 6907 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 მარტის N42 ბრძანებითა და 2007 წლის 9 მარტის N03/202 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტების შესაბამისად, ქ. თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ: N01.13.05.004.142) არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული მრავალფუნქციური ბლოკი N1-ის ფართობად დაფიქსირებულია: 6907.9 კვ.მ, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 3.89.

აღნიშნულის შემდგომ, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტები შეთანხმებულია რამდენჯერმე. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 23 აპრილის N01/769 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირებულია: 7910 კვ.მ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 3.4.

ხოლო, ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 1 თებერვლის N141 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად: ბლოკი N1-ის ფართობად დაფიქსირებულია ფართობი: 7 814 კვ.მ, ხოლო, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2)- 3.4;

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება განხორციელებულია, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 თებერვლის N35 და 2017 წლის 3 თებერვლის N18 განკარგულებით. აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტების შესაბამისად, N01.13.05.004.142 - მიწის ნაკვეთის ფართობად ფიქსირდება 7 791 კვ.მ, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - კ-2-3.4.

ქ.თბილისში, ხოშარაულის ქ. N29 (ს/კ: N01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. N49 (ს/კ: N01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ.N47 (ს/კ: N01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო N45 (ს/კ: N01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო N51გ (ს/კ: N01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ 405243482) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებები შეთანხმებულ იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N310, 2021 წლის 23 ივლისის N325 და 2021 წლის 19 ნოემბრის N546 განკარგულებებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N210 განკარგულებით მოხდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება, თუმცა აღნიშული არ ეხებოდა (ს/კ: N01.13.05.004.142) მიწის ნაკვეთს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (განცხადება: 0125008266-67 - 13.01.2025; 01252113819-67 - 30.07.2025) N01.13.05.004.058; N01.13.05.004.173; N01.13.05.004.142; N01.13.05.004.139 მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების მიზნით. კერძოდ, საპროექტო წინადადების შესაბამისად, დაინტერესებაში არსებულ - N01.13.05.004.142 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე დაფიქსირებულია მიწის ნაკვეთის ფართობი: 6907 კვ.მ - კ-2- 3.89.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტებში დაფიქსირებული საპროექტო მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.13.05.004.142) ფართობი წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნ.ბაგაშვილმა მოითხოვა დადასტურებულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 მარტის N42 ბრძანებითა და 2007 წლის 9 მარტის N03/202 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტების შესაბამისად:

მისამართზე-ქ.თბილისი, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ: N01.13.05.004.142) არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი: 6907 კვ.მ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ-2- 3.89.

აზრი გამოთქვა: კ. კალაძემ

დადასტურებულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 4 დეკემბრის N20/1052 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 მარტის N42 ბრძანებითა და 2007 წლის 9 მარტის N03/202 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტების შესაბამისად:

მისამართზე-ქ.თბილისი, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ: N01.13.05.004.142) არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი: 6907 კვ.მ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ-2- 3.89.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსი — ვლადიმერ ჭიღლაძე

M.Z.L.FZ ფუნქციური ზონირების ბებმ

ბიბ-ს ცლილებისთვის გამოყოფილი მინის ნაკვეთების მდებარეობა უნქციური ზონების მიხედვით

1. ს/კ 01.13.05.004.139
სასოფლო-სამეურნეო ზონა 6 - (სზ-6)
სასოფლო-სამეურნეო ზონა

2. ს/კ 01.13.05.004.059
სასოფლო-სამეურნეო ზონა 6 - (სზ-6)

3. ს/კ 01.13.05.004.058
სასოფლო-სამეურნეო ზონა 6 - (სზ-6)

4. ს/კ 01.13.05.004.173
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)

5. ს/კ 01.13.05.004.142
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)

6. დაშრეობისტრიბუტორი ტერიტორია-
საძრავნაპორტო უზრუნველყოფისთვის
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)

პირობითი აღნიშვნები
LEGEND

- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა (სსზ-)
- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)
- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა - 2 (სსზ-2)
- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა - 3 (სსზ-3)
- სამრეწველო ზონა - 1 (ს-1)
- ბამფუძნებელი ტერიტორია პრიბელი ბამფუძნება (მიწა ეკუთვნილი)
- სარეკრეაციო ზონა - 1 (რზ - 1)
- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
- სასოფლო-სამეურნეო ზონა-1 (სზ-1)
- სასოფლო-სამეურნეო ზონა - 2 (სზ-2)
- სასოფლო-სამეურნეო ზონა - 3 (სზ-3)
- სასოფლო-სამეურნეო ზონა - 5 (სზ-5)
- სასოფლო-სამეურნეო ზონა - 6 (სზ-6)
- საძრავნაპორტო ზონა - 1 (ძზ-1)
- საძრავნაპორტო ზონა - 2 (ძზ-2)
- სპეციალური ზონა 1 (სპეზზ-1)



ARCHCENTER	საპროექტო ოფისი Design Team	შპს "პროექტი"	დამკვეთი Client: შპს „ინსამენ დეველოპმენტი" ს/კ 405243482	პროექტის სახელწოდება Project Name: მიკროფუნქციური ტერმინალი	ფურცლის სათაური Paper Name: ფუნქციური ზონირების ბებმ
	დირექტორი	ლ. ანანიძე	დამკვეთის № Contract №	პროექტის № Project №	პროექტის სტადია Stage: ბიბ-ს პროექტირება
	მთ. პროექტირებელი	ნ.ანანიძე	15/19	15/19	მისამართი Address: ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი; ხერმოპალელის ქუჩა №29
	მშენებელ	ნ.ანანიძე			კოდი Code: M.Z.L.FZ

ფორმატი Paper Format	A3
თარიღი Date	05/05/2025
ინდექსი Index	28
ფურცლები Pages	68

C.Z.L.FZ.2 დაგებენილი ფენოვანი ზონები და ბამოყენების სახეობების ბებმა

1. ს/ს 01.13.05.004.139 - 17 632 კ.მ.
2. ს/ს 01.13.05.004.059 - 6398 კ.მ.
3. ს/ს 01.13.05.005.058 - 1079 კ.მ.

მ) სასოფლოსამეურნეო ზონა ბ (სზ-ბ) — ბალი ინტენსიფიკაციის ფარგლებიანი სასოფლოსამეურნეო ყვავილოვნ, ჩოგელის მოიცავს სასოფლო ბანაშენებელი ტერიტორიების სახლებები ფარგლებ/ფარგლებიან სასოფლოსამეურნეო ბამოყენების (და მის დაფარვაში) ტერიტორიებს

მ) სზ-ბ – ბანაშენებების ფორმირებელ სახეობას მეფარგნს მიაკუთვნებული სასოფლოსამეურნეო სახლები. ასევე დასაშვებია ამ ნაკვეთის ფარგლებში-1-ით ბანაბარეულები ძირითადი და სავალდებული (ზონალურ)მეთოდებით ფაქტიური სახეობები,

5. სასოფლოსამეურნეო ზონა ბ (სზ-ბ)

ა) ტერიტორიების ბამოყენებისა და ბანაშენებების ძირითადი დასაშვები სახეობები

- მარტივი სასოფლოსამეურნეო სახლები (ფერმერული სახეობა);
- ვენახი;
- ბალი;
- სავენახე;
